გარეჯის მაცნე

საგარეჯო

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №2(40) 16-31 იანვარი 2013 წ. ფასი 50 თეთრი

ქართული მართლმადიდებლობის საჭეთმპყრობელი და ერის მამა

(იუბილეზე ნათქვამი თბილი სიტყვები იბეჭდება შემოკლებით)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დაბადებიდან 80 და აღსაყდრების 35 წლისთავი მსოფლიო მართლმადიდებლობის წარმომადგენელმა იუბილართან ერთად იზეიმეს. სტუმრებს შორის იყვნენ მსოფლიოს 3 მართლმადიდებელი საპატრიარქოდან და 7 ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიიდან. მათ შორის კონსტანტინეპოლის და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმინდესი ბართლომე, სრულიად სერბეთის პატრიარქი, პეჩის მთავარეპისკოპოსი და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტი უწმინდესი ირინეოსი.

ყოვლადუწმიდესი ბართლომე: „ეკლესიისადმი შეწირული თქვენი მოღვაწეობის ნაყოფს მომავალი თაობები ოქროს ასოებით ჩაწერენ სისხლით მორწყული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ისევე, როგორც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი თქვენი სახელი ჩვენს გულებში“.

„პატრიარქი ილია იღწვის მსგავსად იმ წმინდანებისა, რომლებიც ძნელ და ავბედით წლებში თავისი თავდადებით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მისაბაძ მაგალითად იქცნენ“.

„უწმინდესო და უნეტარესო, მეუფეო, თქვენ აღასრულეთ სიტყვები წმინდა წერილისა: „ამით გცნან ყოველთა, რომ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“. სიყვარულის მაგალითს აჩვენებთ და სიყვარულით ცხოვრობთ, ლოცვებს აღავლენთ და სიბრძნეს ღვთისას მოუხმობთ, რომელიც სწორედ სიბრძნესა და სიყვარულს უძღაგებს ეკლესიასა და მორწმუნე ერს“.

„ღვთის სამსახური, რომელიც თქვენს ეკლესიასა და ხალხს გაუწიეთ, საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასია! თქვენი ღვაწლი შორსაა იმ დიდებისა და პატივისაგან, რასაც პატრიარქის პატივი მოიცავს. თქვენ შემოიფარგლეთ მხოლოდ ლოცვით, მარხვით, ეკლესიის აღორძინებით, ერში იმედის გაღვივებით, ხატწერის აღორძინებით, საღმრთო საიდუმლოთა აღსრულებით, წმინდა ძღვნის შეწირვითა და თქვენი მრავალტანჯული ერის ნუგეშისცემითა და ტკივილის დაამებით. თქვენი პატრიარქობის ჟამს გამრავლდა თქვენი სულიერი შვილების რიცხვიც და ხარისხიც, რაც ძალიან გვახარებს. კიდევ უფრო მეტად ვხარობთ, როდესაც ვხედავთ, რომ თქვენი შვილიშვილები მოგართმევენ თქვენივე შრომის ნაყოფს, რომელსაც თქვენ კვლავ ქრისტეს სწირავთ“.

„უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო, ღვთის მოწოდება უცვლელია საუკუნეების განმავლობაში. ამიტომაა, რომ რწმენის შესუსტებისა თუ მერყეობის წუთებში განსაცდელისა და ძნელბედობის ჟამს თქვენ ერთი წამითაც არ გადაგიხვევიათ ამ მოწოდებისაგან და მთელი ამ 35 წლის განმავლობაში მედგრად იცავდით უფლის სიტყვას“.

„როგორი მადლიცაა მიღებული, ისეთივეა ქართული კულტურაც. ***მადლის გარდამოსვლა, წყალობა და ღმრთის კურთხევაა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელად თქვენი ყოფნაც***, უნეტარესო და ძალზე საყვარელო ძმაო, პატრიარქო საქართველოისა, რომელმაც თქვენი წვლილით, ვითარცა მღვდელმა, ვითარცა მღვდელმთავარმა და პატრიარქმა კულტურა შექმენით“.

საქართველოს ***პრემიერ მინისტრი*** **ბიძინა ივანიშვილი:**

„უწმინდესმა და უნეტარესმა უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. იმ ჟამს, როდესაც ქრისტიანულ სამყაროში და განსაკუთრებით საქართველოში ათეისტური და ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული ძალები მძლავრობდნენ, მისმა უწმინდესობამ ქართველ ერს გზა რომ არ დაბნეოდა, სწორი გეზი მისცა. უახლოეს წლებსაც თუ გავიხსენებთ, როდესაც გაურკვეველი ძალები კვლავ მძლავრობდნენ ჩვენს ქვეყანაში და უტევდნენ ჩვენს ტრადიციებს, ჩვენმა პატრიარქმა ბრძნულად მოუწოდა ერს, ეროვნული ტრადიციების გაფრთხილებისა და შენარჩუნებისკენ. ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენი კულტურის უდიდესი ნაწილია, ჩვენთვის ქრისტიანობა არ არის მხოლოდ აღმსარებლობა.

ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რომ ასეთი სულიერი მამა გვყავს მისი უწმინდესობის, ჩვენი საყვარელი პატრიარქის ილია II-ის სახით“.

ღვთის სასწაული გიორგიწმინდაში

ღვთაებრივი ნების მაუწყებელნი



ფოტოაპარატით დაფიქსირებული ცეცხლოვანი წერტილები.

13 იანვრის ღამიდან გიორგიწმინდის მოსახლეობა ღამის უცნაური ცხოვრებით ცხოვრობს – ძველით ახალი წლის ღამეს, 1 საათზე, იქ, სადაც თეთრი გიორგის სახელობის ეკლესიაა (გიორგიწმინდისა და ანთოკის საზღვარზე), ეკლესიის თავზე თეთრი ღრუბელი შენიშნეს. ცოტა არ იყოს ეუცნაურათ. ღამის სიბნელეში თეთრი ღრუბელი? და იმ ღამეს ნახევარი გიორგიწმინდა შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი თვალით სწორედ ამ სასწაულს მისჩერებოდა. მას შემდეგ ყოველ ღამეს 1 საათიდან 5 საათამდე მკაფიოდ ჩანს ეს გამოსახულება. მოწმე და თვითმხილველი კი თავადაც აღმოვჩნდი. თანამედროვე ტექნიკამ ვერ შეძლო სრულად დაეფიქსირებინა ეს გამოსახულება, მაგრამ ფოტოაპარატმა შეძლო 3 ცეცხლოვანი გამოსახულების დაფიქსირება. თუმცა ცაზე მკაფიოდ ჩანს სამი ანგელოზი (რომელთა გამოსახულებაც ფრესკებსა და ხატებზე ბავშვის სახით გვინახავს) – ორი ჰორიზონტალურად, ერთმანეთთან თითქმის თავმიდებული, ერთიც მათ ზემოთ ჰორიზონტალური. სამივე ფრთების ფარფატით ჩამოდიან ვერტიკალურად და ისევ ცაში ადიან...

სიმართლე ითქვას და ეს ყველამ ღვთის დიდ ნებად და საჩუქრად აღვიქვით, რადგან გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის მრევლი ხატებიდან მირონდენის ფაქტებს 2004 წლიდან ვადევნებთ თვალს. ეკლესიაში პირველად მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს დაედინა მირონი, შემდეგ კი მირონდენა გახშირდა. პირადად მე 18 ხატზე გადმოსული მირონის თანმიმდევრობას ჩემს დღიურშიც აღვნიშნავდი. ნოემბრის ბოლოს კი წმინდა ბარბარეს ორ ხატს ერთდროულად დაედინა მირონი. დეკემბრის ბოლოს რიგით ოცდამეოთხეს – ხატს, რომელსაც წმინდა გიორგის მაკურნებელი მარჯვენაა გამოსახული შესაბამისი ლოცვით. ეკლესიის მოძღვარი მღვდელი გიორგი პავლოვი მირონდენაზე მოკლე გაფრთხილებას გვაძლევს: ღვთის მადლია და განსაკუთრებულად უნდა ვილოცოთო. ახლაც, როცა მამა გიორგის ვთხოვეთ ანგელოზთა გამოჩენაზე კომენტარი, ძალიან უბრალოდ, ერთი წინადადებით გამოხატა: – „ეს არის ღვთის დიდი მადლი“, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რამდენი მართლმადიდებელი ქვეყანა ელის ღვთის ასეთი მადლის გადმოსვლას, მივხვდებით რამხელა მნიშვნელობის და რა დიდი ღვთიური მადლის დამტევია ეს ორიოდე სიტყვა. ამას მხოლოდ ეკლესიური ადამიანი მიხვდება.

რას ნიშნავს ანგელოზი?

სიტყვა „ანგელოზი“ ბერძნულიდან მომდინარეობს და ნიშნავს მაუწყებელს. ძირითადად ამ ნიშნით ხასიათდება მათეული მსახურება ღვთისადმი. ისინი არიან მაცნენი ღვთაებრივი ნების მაუწყებელნი ჩვენთვის და ჩვენი ცხონებისთვის.

ანგელოზთა მარტივი ბუნების აღსანიშნავად დავით მეფსალმუნე იყენებს სიტყვა „სულს“, რომელიც უხილავია და ასევე სიტყვა „ცეცხლის ალს“, რომელიც მსუბუქია: „რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისა“.

წმინდა იოანე დამასკელი ანგელოზთა ბუნებაზე მსჯელობისას ამბობს: „ანგელოზი არის არსება გონისმიერი, მარადმოძრავი, თვითუფლებრივი, უსხეულო, ღვთისადმი მომსახურე, მადლით უკვდავების მიმღები ბუნებაში, რომლის არსების სახე და საზღვარი მხოლოდ შემოქმედმა უწყის“.

წმინდა იოანე დამასკელი ანგელოზთა ბუნებაზე მსჯელობისას ამბობს: „ანგელოზი არის არსება გონისმიერი, მარადმოძრავი, თვითუფლებრივი, უსხეულო, ღვთისადმი მომსახურე, მადლით უკვდავების მიმღები ბუნებაში, რომლის არსების სახე და საზღვარი მხოლოდ შემოქმედმა უწყის“.

პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი ამბობს: „ანგელოზები თავიანთი ბუნებით გონიერი, მოქმედი სულები არიან, აქვთ ნება და ცოდნა, ემსახურებიან ღმერთს, ადიდებენ მას აღასრულებენ მის გარეგნულებით ნებას. ისინი უხოურცონი არიან და უხილავ სამყაროში მკვიდრობენ, ამიტომ არ ძალუძს მათი დანახვა ჩვენს ხორციელ მზერას.

წმინდა მამის დიონისე არეოპაგელის განმარტებით, ანგელოზთა იერარქია შედგება 9 დასისაგან, რომელიც ერთი საერთო მიზნის – ღვთის ნების აღსრულებისკენაა მიმართული. ანგელოზები განიყოფიან იმისდა მიხედვით, თუ რომელი დასი უფრო მეტადაა ახლოს ღმერთთან. პირველ დასში შედიან სერაფიმნნი, რომლებიც უშუალოდ ღვთის ტახტის მპყრობელნი არიან. მათ შემდგომ ადგილს იკავებენ ქერუბიმები, შემდეგს – საყდარნი. პირველი სამეულის შემდეგ დასებს ინაწილებენ უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი, ხოლო მესამე სამეუ-

დასასრული მე-8 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 იანვრის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ მოსმენილ და განხილულ იქნა მთელი რიგი საკითხები. სხდომაზე რეგისტრაციაში გატარდა საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლება“. ცვლილებები იქნა შეტანილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ობიექტების გაერთიანებაში“ შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №8 განკარგულებაში და ასევე ცვლილებები იქნა შეტანილი „არასამეწარმეო იურიდიული პირის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებების საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №10 განკარგულებაში.

სხდომაზე განხილულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2013 წლის მუნიციპალური პროგრამის, სტრუქტურისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ.

სხდომაზე დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული ქონების საპრივატიზაციო ნუსხა.

სხდომაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები. მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ნორმალური სწავლა-აღზრდისათვის

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში რემონტი დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მთელ რიგ დაწესებულებებში საკმაოდ სერიოზული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი, მაგრამ ამჯერად ყურადღება სახურავისა და გათბობის სისტემის მოწესრიგებაზე გამახვილდა. ასე, მაგალითად, ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღს უკვე გამოეცვალა სახურავი. აქ გაკეთდება სველი წერტილები.

გიორგიწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში გაკეთდება გათბობა.

რაც შეეხება საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღს, შენობა მართლაც სერიოზულ სარემონტო სამუშაოებს მოითხოვს. იგი გასული საუკუნის 70-იან წლებშია აშენებული. იმ პერიოდისათვის და შემდგომ წლებშიც ერთ-ერთი საჩვენებელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით. აქ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლექტივის ჯილდო – გარდამავალი დროშაც კი იყო. კოლექტივი იღებდა და მასპინძლობდა საბჭოეთის სხვადასხვა დელეგაციებს, მაგრამ დრომ თავისი ქნა. ბოლო 20 წელიწადში აქ კოსმეტიკური რემონტიც არ ჩატარებულა და აი ახლა, ამ ეტაპზე ბაგა-ბაღში ჯერ გათბობის სისტემა მოწესრიგდება და შემდეგ კი ნელ-ნელა სარემონტო სამუშაოებიც დაიწყება. აღნიშნულ სამივე ბაგა-ბაღში სამშენებლო სამუშაოებს ატარებს შპს „პალაცო“ (დირექტორი ზაზა მაისურაძე).

ხაშმის საბავშვო ბაღის შენობა ადრე ორსართულიანი და ორფლიგელიანი იყო, მაგრამ უყურადღებობამ და უსახსრობამ წლების განმავლობაში დააზიანა სახურავი და შესაბამისად კედლები, იატაკი. მეორე სართული მოიხსნა და ერთ სართულზე დავიდა შენობა. საბავშვო ბაღს საპარლამენტო არჩევნებამდე გაუკეთდა გარედან რემონტი. რაც შეეხება შიდა რემონტებს, ეს 2013 წლამდე გადაიდო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2012 წლის სექტემბრიდან დღემდე ხაშმელი აღსაზრდელები საბავშვო ბაღის ფუნქციონირებას მოუთმენლად ელიან.

დღეს აქ შიდა სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რომელსაც ინდმეწარმე „გვანცა იაკობიძე“ აწარმოებს. საბავშვო ბაღის ორი ფლიგელიდან დღეს მხოლოდ ერთ ფლიგელში მიმდინარეობს რემონტი. აქ შესაკეთებელია კედლები, იატაკი, გამოსაცვლელია კარ-ფანჯარა, მოსაწყობია სველი წერტილები. მშენებლები მართალია ჩქარობენ, მაგრამ წლობით დაგროვილი საქმე გარკვეულ ვადებს ითხოვს.

მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი ლოლაძეს,** პარლამენტის წევრს, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს ქ-ნ **თინათინ ხიდაშელს** და სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს რევაზ ბაჩოშვილს ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის. მათ დროულად მოგვხედეს ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებს და სტიქიისგან დაზიანებული სახლის სახურავები ახალი მასალით შეგვაცვლევინეს. მადლობა მათ და საქართველოს მთავრობას. გლოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით, საგარეჯოელები:

არსენ გზირიშვილი,
ნათელა ხატიაშვილი,
გიორგი სამხარაძე

• • • •

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებს ახალი რწმუნებულები ჰყავს

გია შენგელიძე –
ყანდაურის რწმუნებული

ნანა ტაველიშვილი –
ბადიაურის რწმუნებული

გიორგი ჯინჭარაული –
გომბორის თემის რწმუნებული

გიორგი კერატიშვილი –
წყაროსთავის რწმუნებული

მუბარიზ მამედოვი –
ლამბალოს რწმუნებული

ქამილ გასანოვი –
დუზაგრამის რწმუნებული

მალხაზ ყიკლაური –
კოჭბანის თემის რწმუნებული

ნოდარ ბეგიაშვილი –
ვერხვიანის რწმუნებული

ელდარ მეფარიძე –
ნინოწმინდის რწმუნებული

კახა უნაფძოშვილი –
პატარძეულის რწმუნებული

გიორგი ჯიაბერაშვილი –
გიორგიწმინდის თემის რწმუნებული

მამია ჩართოლანი –
უდაბნოს რწმუნებული

იოსებ ხუროშვილი –
შიბლიანის რწმუნებული

ზაურ ალიევი –
თულარის რწმუნებული

ნათიკ რასულოვი –
იორმუღანლოს რწმუნებული

საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის
სოფლების
სხვა
რწმუნებულებს
გაგაცნობთ
შემდეგ
ნომერში

27 იანვარს — ნინოობაა, ბოლოცავთ!

51 წელი პროფესიის სიყვარულში

სალომე შიოშვილი,
ნინოწმინდის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

პედაგოგი, რომელთანაც ინტერვიუს ჩაწერის პატივი და სიხარული მერგო მე, 14 წლის მოსწავლეს, ჩემი მშობლიური სოფლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ყველასათვის საყვარელი პიროვნებაა. მას ნინო ჰქვია. დიახ, ნინო კონიაშვილი. თითოეული ნინოწმინდელისათვის კი უბრალოდ და ძალიან დიდი სიყვარულით – ნინო მასწავლებელი. 51 წელი პედაგოგის მძიმე და ძალიან საპასუხისმგებლო ტვირთით, ადვილი როდია. თუმცა, სულ პირველად ექიმობის შესწავლა გადაწყვიტა, მაგრამ მისაღებ გამოცდებზე ქულა დააკლდა. მაშინ იგრძნო, რომ პედაგოგობა იყო მისი საქმე... ჯერ თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ამ პროფილით დაიწყო მუშაობა და პარალელურად იმავე ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტიც დაამთავრა. 1971 წლიდან უკვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია ნინოწმინდის საშუალო სკოლაში. მალე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაც გაიარა. შემდეგ იყო პედაგოგისთვის მძიმე, მაგრამ თავისებურად ტკბილი, ზოგჯერ მომქანცველი, მაგრამ საბოლოოდ მაინც სიხარულის მომტანი მუშაობა და ამ წლებში არაერთი თაობა აღზარდა. დღეს იშვიათია ნინოწმინდაში ოჯახი, მისი ნამოწაფარი რომ არ იყოს. ნინო მასწავლებელი ყველას გვიყვარს და სწორედ სოფლის ამ სიყვარულმა მიმიყვანა მასთან, როგორც რესპოდენტთან. ცოტა მორიდებულად, მაგრამ, შევძელი მისგან ინტერვიუს აღება. თუ როგორი გამომივა, ამას გაზეთის მკითხველი შეაფასებს.

მაშ ასე, რესპოდენტია ნინო კონიაშვილი, ნინოწმინდელი, წმინდა ნინოს მოსახელე და არაერთი ნინოწმინდელის აღმზრდელი. ნინო მასწავლებელს ჰყავს ერთადერთი შვილი – შორენა ჯავახიშვილი – ნინოწმინდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჰყავს ორი შვილიშვილი – მეთერთმეტეკლასელი მარიამი და მეოთხეკლასელი თედო.

– ნინო მასწავლებელო, 51 წელი სკოლის კედლებში გატარებული ნახევარი საუკუნეა. ამ ხნის განმავლობაში თქვენ არაერთი თაობა აღზარდეთ, თუმცა სამსახურიდან წასვლის შემდეგაც თქვენ უხელფასოდ დადიოდით სკოლაში და მუშაობდით. იქნებ გაიხსენოთ ვინ არიან თქვენი აღზრდილები და რას საქმიანობენ ახლა ისინი?

– მართალია, 2010 წლის აგვისტოდან მე, როგორც საპენსიო ასაკის მასწავლებელი, გამათავისუფლეს, მაგრამ უფროსკლასელებს ვეხმარებოდი გამოსაშვები გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში, ოღონდ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. რა ვქნა, არ შემიძლია ბავშვების, სკოლის გარეშე.

ზოგიერთი ჩემი ნამოწაფარი ნინოწმინდის სკოლაში მოღვაწეობს: ნელი მენაბდიშვილი (ისტორიკოსი), ლეილა ფაფიაშვილი (გეოგრაფი), მანანა როსტომაშვილი (დაწყებითი კლასები), ჟუჟუნა კონიაშვილი (დაწყებითი კლასები), თამარ მანძულაშვილი (საქმის მწარმოებელი), ჩემი შვილი – შორენა ჯავახიშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა). ჩემი ნამოწაფრები მუშაობენ სხვა სკოლებშიც – ნინო მღებრიშვილი, ლია ასრათაშვილი, მარინე მეფარიძე. ასევე ჩემი ნამოწაფრები არიან: რუსუდან შიოშვილი – ნინოწმინდის საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი, პაატა ასრათაშვილი – საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი, ზურა მღებრიშვილი – №11 საარჩევნო საოლქო კომისიის წევრი, სოფიკო მანძულაშვილი – არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, საქართველოს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნათია სუხიაშვილი.

– ამ გადასახედიდან, როცა თქვენ თქვენი პროფესიონალიზმითა და ადამიანობით სოფლის და არა მარტო სოფლის სიყვარული დაიმსახურეთ, იქნებ გვითხრათ, ამ ქვეყნად ადამიანის მოსვლის მთავარი მიზანი რა არის?

– ჩემი აზრით ამ ქვეყნად ადამიანის მოსვლის მთავარი მიზანი სიკეთის თესვაა, დაიხარჯოს უანგაროდ გარშემმყოფთათვის, თავისი ცხოვრების ხნულში თესდეს სიკეთის მარცვალს. მარად ახსოვდეს, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს, ცოცხლობს სახელით, რასაც ტოვებს განვლილი ცხოვრების მიხედვით. ამის შესანიშნავი მაგალითია ჩვენი დიდი წინაპრის, ღირსეული მამულიშვილის გოგლა ლეონიძის პატარა მოთხრობა „სახელის მილოცვა“. მე პირადად ყველაზე ბედნიერად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა ვინმეს ვეხმარები.

– თქვენ ნინოწმინდელი ბრძანდებით, რას ნიშნავს თქვენთვის ნინოწმინდელობა და სახელი ნინო?

– საამაყოა იყო ნინოწმინდელი. ამ მიწაზე ხომ დღესაც ატყვია დიდი განმანათლებლის ნაფეხურები. აქედან იღებს დასაბამს (ყოველი მათგანისათვის) მშობლიური მიწა და მერე მოიცავს მთლიანი საქართველოს მთა-ბარს. საქართველომ გაუძლო რა ეპოქათა ჭიდილს, განსაცდელს, მაინც შეძლო წინაპართა მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებების შენარჩუნება.

ამ მძაფრმა ჭიდილმა შეგვინარჩუნა ეს შესანიშნავი ძეგლი – ნინოწმინდა, სადაც ყოველი წლის 27 იანვარს „ნინოობა“ აღინიშნება. სულით და გულით ვულოცავ ყველა ნინოწმინდელს ამ სულიერი ამაღლების, ძმობისა და ერთობის დღესასწაულს.

„ნინოობა“ მარტო ჩვენთვის კი არა ყველა ქრისტიანის ღირსშესანიშნავი დღესასწაულია. ამ სარწმუნოებამ მოიყვანა ქართველი ხალხი დღევანდელობამდე. უახლოეს წარსულში ბევრჯერ სცადეს მისი ამოძირკვა, მაგრამ... ეს იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტი სარწმუნოებაა. ჩემთვის ეს დიდი დღესასწაულია, დღესასწაული სულის, ადამიანობის, კაიკაცობის ამამაღლებელია.

მარტო ის რად ღირს, რომ ყოველ „ნინოობას“ ყველა ნინოწმინდელის ოჯახში იშლება სუფრა, რაც ზემოთ ნათქვამის დადასტურებაა. ამ დღეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოდის ხალხი ჩვენს სოფელში, მოწიწებით მოილოცავენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

უდიდესი ძალა აქვს რწმენას, რომელსაც ნინომ გვაზიარა.

ამიტომაც საამაყოა ყოველ ნინოწმინდელისათვის, რომ ნინოს პატივსაცემად აქაა აგებული.

საამაყოა ისიც, რომ ქალი ატარებდეს მის სახელს.

– ნინო მასწავლებელო, ნინოწმინდელთა სახელით გილოცავთ „ნინოობას“, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გმადლობთ საუბრისათვის.

„სახელს მოფრთხილება უნდა“

ქალბატონ ნინოს 90 წელი უსრულდება წელს. იმის გამო, რომ კომუნისტების დროს არ შეიძლებოდა ქრისტიანული სახელების დარქმევა და წარმოთქმა, დაბადების მოწმობაში ნინო კი ჩაუწერეს, მაგრამ ყველა „ნუნუს“ ეძახდა. ეს ალბათ „შუქშენიღბვასავით“ იყო მისი მშობლებისთვის, რომლებსაც ქრისტიანობა და ქართველობა ჰქონიათ გაიგივებული. ქ-ნი ნინოს გვარი საგინაშვილია. წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეჯოს რაიკავშირის ეკონომისტად. მეუღლე ფირუზ ქურხული ყველა საგარეჯოელისათვის მისაღები და პატივსაცემი პიროვნება იყო. გაზარდეს სამი შვილი, მისცეს შესაბამისი განათლება, ქ-ნი ნინო ახლა წარსულის მოგონებებით და შვილებისა და შვილიშვილების სიკეთით ცხოვრობს. დღეს ქ-ნი ნინო ჩვენი რესპოდენტია.

– ქ-ნო ნინო, როგორ იზრდებოდით, მით უმეტეს მაშინ (დაბადებულია 1923 წელს), როცა წმიდა ნინოს სახელის ხსენებაც თითქმის დანაშაულად ითვლებოდა. ახლოს იყავით თუ არა ეკლესიასთან, როგორ აღნიშნავდით „ნინოობას“?

– ვიზრდებოდი ჩვეულებრივ, ქრისტესმოყვარე და მშრომელი ადამიანების ოჯახში. იმ პერიოდის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად დავდიოდი ეკლესიაში. ნინოობას კი ოჯახში, მეგობრების წრეში აღვნიშნავდი. ნინო ვისაც ჰქვია, ბევრ რამეს უნდა ითვალისწინებდეს , რადგან წმიდა ნინო ქალი, ქართველთა განმანათლებელი იყო. მისნაირი ვერავინ ვერ იქნება, მაგრამ მისგან არსებული ერთი თვისებაც ქალს ქალის დიდებულ სახელს მოუტანს.

– ყოველი ადამიანი, ამქვეყნად მოვლენილი თავისი დანიშნულებითაა მოსული, მით უმეტეს ქალს უფრო მეტი ევალება ბუნების წინაშე – შვილების აღზრდა, ოჯახის მოვლა. როგორ შეიძლება ქალმა შეასრულოს ეს მისია, დაამყაროს ოჯახში სიმშვიდე, გაზარდოს შვილები ნამდვილ ქართველებად?

– ოჯახში სიმშვიდე რომ დაამყაროს ქალმა, თვითონ ბუნებით უნდა იყოს მშვიდი. თავშეკავება, მოთმენა, მორჩილება – აი, ქალის უპირველესი თვისებები, რომლითაც უნდა იყოს „შეიარაღებული“ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. ყველა ეს თვისება გადაეცემა ოჯახს, შვილებს, მეუღლეს და გააწონასწორებს მდგომარეობას. თავისი ამ ქვეყნად მოსვლის დანიშნულებაც ეს არის. შვილებსაც ამას ყველაფერს მისცემს ცხოვრებაში.

– რას საქმიანობენ თქვენი შვილები?

– უფროსი – ლალი ექიმია, ვასიკო – ინჟინერი, ამჟამად ბიზნესმენია. ასევე ბიზნესმენია თემურიც. ორივე ვაჟებმა მოსკოვში დაამთავრეს ასპირანტურა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები არიან. სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ.

– ქ-ნო ნინო, გილოცავთ „ნინოობას“, წელთა სიმრავლით მდიდარს, კვლავ დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

– მეც ვულოცავ სრულიად საქართველოს „ნინოობას“, მშვიდობის, სიყვარულის წელი ყოფილიყოს 2013 წელი და აქედან დაიწყოს საქართველოს გაბრწყინება.

თინა ილაური

მოსაზრება, ფიქრი, განსჯა

სად განისვენებს წმიდა ნინოს ნეშტი?

ღღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში და თვით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს აღიარებითაც წმინდა ნინოს ნეშტი განისვენებს არა ნინოწმინდის საკათედრო დიდი ტაძრის ნანგრევებში, არამედ ისტორიული ბედუკუღმართობის წყალობით, ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიაში.

რა მოხდა? ნუთუ სულ ტყუილად შეიქმნა ის უძველესი ქართული დოკუმენტური საარქივო მასალები, ის ქართული, ხალხური ტრადიცია და ის უზარმაზარი ლიტერატურა, რითაც მტკიცდება, რომ მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ მცხეთის შემდეგ ქრისტიანობა მეფე მირიანის დავალებით ქიზიყის ბოდბეში კი არ გაავრცელა, არამედ ქართლის სახელმწიფოს მაშინდელ მიმდებარე ტერიტორიაზე, მცხეთისავე მეზობელ კუხეთის პროვინციაში ქალაქ უჯარმის მეზობლად დაბა კაწარეთში (სოფელ ხაშმის მახლობლად), დაბა ქველდაბაში (გომბორის გადასასვლელთან), კუხეთის ადმინისტრაციულ ცენტრში, დიდ დაბა ბოდშიაქ დასნეულდა და აქვე სოჯთა დედოფალი სალომე უჯარმელისა და მისი მეუღლის უფლისწულ რევის ხელში დალია სული. მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ღვაწლით წმინდა ნინოს ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი მიაბარეს დაბა ბოდის მიწას და მის საფლავს ზედ დაადგეს ეკლესია, ხოლო წმიდა ნინოს დიდი დამსახურებისა და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაბა ბოდს სახელი გადაარქვეს და ნინოწმინდა უწოდეს. ხოლო V საუკუნის 50-იან წლებში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის სახელმწიფოში შექმნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მოახდინა საეკლესიო რეფორმა და შექმნა 12 საეპისკოპოსო კათედრალი. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ნინოწმინდის უდიდესი საეპისკოპოსო კათედრალი, უჯარმის კარის მახლობლად, წმინდა ნინოს საფლავზე ააშენა დიდი ტაძარი და დასვა მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ერთ-ერთი უპირატესი პატივი მიანიჭა სამეფო კარის სხდომებზე დასწრებისა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული ქართული პირველწყაროები და ჩვენი დედა ისტორია „ქართლის ცხოვრება“ უტყუარად, გასაგები ქართული ენით თვალნათლივ და უპირობოდ ამტკიცებს წმინდა ნინოს ნინოწმინდაში დაკრძალვის ფაქტს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, ქართული ენციკლოპედია და ქართველ ისტორიკოსთა დიდი ჯგუფი წმინდა ნინოს ნეშტის დასაფლავების ადგილად ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიას აცხადებს და არა ნინოწმინდას.

ამ დიდი ისტორიული ცდომილების სათავეში დგას საქართველოს დიდი მეისტორიე ვახუშტი ბატონიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში ერთგან ასე წერს: ნინოს გარდაცვალების და დაკრძალვის შესახებ: „ხოლო ინება მეფემან მიღება მისი მცხეთას, არამედ ვინაიდგან ეთქუ წმინდასა ნინოს მუნ დაფლა თვისისა სიმდაბლისათვის დაფლეს დაბასა ჰერეთისასა ბოდას“. ამ შრომის სქოლიოში კი ვახუშტი ამბობს „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა წერიაო. ახლა ვნახოთ რას ნიშნავს ვახუშტის სხვა ადგილას, რას ამბობს თავის „ქართლის ცხოვრებაში“: „... ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის

დასასრული მე-7 გვერდზე

2012 წლის საგარეჯოს 10 საუკეთესო სპორტსმენი

1. **<u>დავით ხუციშვილი</u>** – თავისუფალი ჭიდაობა, ბელგრადის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ბაქოს საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი.

2. **<u>უშანგი კუზანაშვილი</u>** – სამბო. ევროპის ჩემპიონი დიდებში;

3. **<u>კობა მჯედლიშვილი</u>** – ძიუდო. ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში; საქართველოს ორგზის ჩემპიონი; ანტალიის და კიევის საერთაშორისო ტურნირების ვერცხლის პრიზიორი;

4. **<u>ზაურ მამარდაშვილ</u>**ი – ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში (ჭაბუკები); საქართველოს ჩემპიონი, ერევნის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორი;



5. **<u>ირაკლი კუპატაძე</u>** – ბულგარეთის მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი სამბოში (ჭაბუკებში); საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოსა და სამბოში; ანტალიისა და კიევის საერთაშორისო ტურნირების III პრიზიორი;

6. **<u>ზაზა როსტომაშვილი</u>** – ჭაბუკებში ევროპის ვერცხლის პრიზიორი სამბოში; საქართველოს ჩემპიონი; ერევნის საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი;

7. **<u>ნანი უნაფქოშვილი</u>** – საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში 20 წლამდელთა შორის;

8. **<u>ზურა ერგოწონაშვილი</u>** – თავისუფალი ჭიდაობა – საქართველოს III პრიზიორი დიდებში; ბაქოს საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი ახალგაზრდებში;

9. **<u>ნიკა მოველიძე –</u>** საქართველოს III პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში (ჭაბუკები); ანტალიისა და კიევის საერთაშორისო ტურნირების ბრინჯაოს პრიზიორი.

10. **<u>სოლომონ თედიაშვილი</u>** – საქართველოს ორგზის ვერცხლის პრიზიორი ძიუდოში, ერევნის საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი.

პრივი რინგს საგარეჯოშიც ეძიებს...

საგარეჯოელებს ბევრი საქვეყნოდ ცნობილი აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატები გვყავს, მაგრამ მოკრივეები არასოდეს გვყოლია. ამდენად, ჩვენთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო, როცა მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ხოსიტაშვილმა საქართველოს კრივის (კადეტები) ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი **<u>ზურაბ იმნაძე</u>** გამაცნო, რომელიც თურმე მეორე წელია ნინოწმინდაში ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ ავარჯიშებს აქაურ პატარებს სპორტის არნიშნულ სახეობაში.

– თავიდან ნიჩბოსნობით ვიყავი გატაცებული და მწვრთნელადაც ვიმუშავე. აღზდილი მყავს რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ნიჩბოსანი. პარალელურად ვავარჯიშებდი მოკრივეებსაც, – გვიყვება ბატონი ზურაბი. – ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ კრივს შეემოვრჩი და მის შემდეგ ჩვენს პატარა მოქალაქეებს სპორტის ამ სახეობაში ვაკვალიანებ. რაც შეეხება საგარეჯოში და კერძოდ ნინოწმინდაში ჩემი ამ საქმით დაკავებას, ამის მიზეზი გახდა ის, რომ მე ამ სოფლის საჯარო სკოლის ახლოს შევიძინე სახლი და ახლა, როგორც ამ სოფლის მკვიდრმა, გადავწყვიტე აქაური პატარებიც მეზიარებინა კრივის საიდუმლოებებისათვის. შევარჩიე სათანადო მონაცემების ბიჭები და უკვე მეორე წელია მათ სკოლის სპორტულ დარბაზში ვავარჯიშებ. უფრო მეტად კი, როცა ხელსაყრელი ამინდებია, ჩემს საკუთარ ეზოში, სადაც ყველა სათანადო სპორტული ინვენტარი გამაჩნია პატარების წვრთნისათვის.

– ძირითადად რამდენი და რა ასაკის მოკრივეები გყავთ? ჩვენ აქამდე არაფერი გვსმენია თქვენი საქმიანობის შესახებ.

– სულ 25-30 ბავშვია. 1996 წლიანებით დაწყებული და 2004 წლიანებით დამთავრებული. არ მინდოდა, რომ ჩემი მუშაობა ისე დამეწყო, თავიდანვე თავი შემექო, შედეგები კი არაფერი მქონოდა. ახლა საამისო მიზეზი გამიჩნდა, რაიონის ახალი ხელმძღვანელობის მხრიდანაც მეტი დაინტერესება გამოჩნდა ჩვენს მიმართ და გადავწყვიტე ჩვენი საზოგადოებისათვის თავის შეხსენება. ეს გახლავთ არც თუ ისე დიდი, მაგრამ ჩვენთვის, დამწყები მოკრივეებისათვის ნიშანდობლივი გამარჯვება. 2012 წლის მიწურულს ჩემმა აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ყვარელში 23-26 დეკემბერს გამართულ ილია ჭავჭავაძის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქთაშორისო ტურნირში, სადაც 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი დაისაკუთრეს. აქედან ოქროს მედლები მოიპოვეს ილია ქაჯაიამ (54კგ), სოსო მღებრიშვილმა (58კგ), ხაზარ სადიკოვმა (50 კგ) და ალიკა ალოიანმა (36კგ), ვერცხლი – თორნიკე გორგილაძემ (56კგ). ამას გარდა, თბილისში თითქმის ყოველ თვეს ტარდება შეჯიბრებები, „ღია რინგი“, რომელშიც 2002-2004 წლებში დაბადებული ბავშვები იღებენ მონაწილეობას და უკვე გვყავს ამ შეჯიბრებებში გამარჯვებული იმედისმომცემი ბავშვები. ზოგიერთი მათგანი ამ შეჯიბრების 7-8 გზის გამარჯვებულებიც კი არიან. ასეთები არიან: 2002 წლიანებში: ტატო შიოშვილი, უჩა გრძელაშვილი, გიორგი მალასიძე; 2004 წლიანებში გიორგი დეკანოზიშვილი. მას 14 იანვარს შეუსრულდა 9 წელი. ღია რინგზე ჩატარებული და მოგებული აქვს რამდენიმე ბრძოლა და მოგებული აქვს 8. სპეციალისტები მას კარგ შედეგებს უწინასწარმეტყველებენ.

18 იანვარს კი თბილისში ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა კადეტებში (1997-98წწ-იანები), რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება რაიონის გუნდებსაც ჰქონდათ. ჩვენი გუნდი ინტენსიურად ემზადებოდა მასში მონაწილეობისა და საპრიზო ადგილების დასალაშქრავად. ფაქტობრივად ეს შეჯიბრება არის გუნდის ძალების დათვალიერება მომავალი საქართველოს პირველობისათვის, რომელიც ამა წლის 15-20 მარტს ჩატარდება. თუკი რაიონის ხელმძღვანელობა უფრო მეტად დაინტერესდება ჩვენი საქმიანობით და მათი მხრიდან სათანადო ხელშეწყობა გვექნება, ვიმედოვნებ, რომ გვექნება სტაბილური შედეგები და იქნებ მსოფლიო პირველობაშიც მივიღოთ მონაწილეობა.

– უშუალოდ ქალაქ საგარეჯოში კრივის დანერგვაზე ხომ არ გიფიქრიათ?

– როგორ არა, ამის შესახებ მიმდინარეობს გარკვეული საუბრები. საგარეჯოში, რომელიც მოჭიდავეთა სამშობლოდ ითვლება, არ შეიძლება არ იყვნენ ისეთი ბავშვები, სპორტის ამ სახეობაშიც არ გაუთქვამ სახელი რაიონს. საამისოდ საჭიროა ქალაქში გამოიყოს დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება რინგის მოწყობა და წვრთნების ჩატარება. ვიმედოვნებ, რომ რაკი ერთხელ გაიგებენ ამ სიახლის შესახებ, შემდეგში ბავშვები თავისით მოგვაკითხავენ სავარჯიშოდ და ყველა მათგანი თუ ვერ გამოვა სახელგანთქმული სპორტსმენი, აქ გატარებული დრო მაინც ხელს შეუწყობს ჯანმრთელი მომავალი თაობების აღზრდას.

გივი დაბახიშვილი

<u>ჭადრაკი</u>

გოგონებმა კვლავ გვასახელეს

<u>ლალი</u>

<u>ეთერი</u>

წინასაახალწლოდ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის რესპუბლიკის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ცნობილი ქართველი მოჭადრაკისა და მწვრთნელის თეიმურაზ ლომაიას ტრადიციული მემორიალი, სადაც მონაწილეობდნენ 6, 8, 10, 12, 14 და 16 წლის რესპუბლიკის უძლიერესი ნორჩი მოჭადრაკე გოგონები და ბიჭები. მრავალრიცხოვან ნორჩ მოჭადრაკეთა შორის თავი გამოიჩინეს საგარეჯოელმა ეთერ ხებრელაშვილმა (მწვრთნელი თენგიზ კობიაშვილი) და ლალი გარსიაშვილმა (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი). დაძაბულ ორთაბრძოლებში მათ შესაბამისად 8 და 10 წლის გოგონათა ასპარეზობაში საპატიო III საპრიზო ადგილები დაიკავეს, რითაც ისინი თავიანთ ასაკში საქართველოს ნაკრების პოტენციური კანდიდატები გახდნენ. რაიონის ჭადრაკის მრავალრიცხოვანი მოყვარულები ულოცავენ ეთერის და ლალის წარმატებას და მომავალში იმედოვნებენ მათგან უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს.

თენგიზ კობიაშვილი

მოსაზრება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახნავი მიწების 70% ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება, ხოლო დაუმუშავებელი მიწების 80% წვრილ მიწიან ოჯახებზე მოდის, რომელთა საკუთრებაშია 0,25ჰა, 0,75ჰა, და 1,25ჰა–რი მიწის ფართობები, რომლებიც მიიღეს 1992 წლის 10 მარტის, მიწის პრივატიზაციის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე. აღნიშნული პრობლემის დაძლევისთვის საჭიროა ოჯახური მეურნეობების ეფექტიანად ფუნქციონირება, აუცილებელია მათ სარგებლობაში არსებული დაქუცმაცებული სასოფლო–სამეურნეო სავარგულების გამსხვილება, რის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი მსხვილი ფერმერული მეურნეობები. ამის მისაღწევად აუცილებელია წვრილი ოჯახური მეურნეობების ნებაყოფლობითი გაერთიანება კოოპერატივებად, სააქციო საზოგადოებებად, ერთობლივ საწარმოებად და სხვა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის სასოფლო–სამეურნეო საწარმოებად.

ოჯახური მეურნეობების მსხვილ სასოფლო–სამეურნეო საწარმოებად გარდაქმნის მიზნით, მიზანშეწონილია არა მარტო ჰორიზონტალური, არამედ ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმების განვითარება, კერძოდ; სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და ამ პროდუქტის გადამამუშავებლების, რეალიზატორებისა და სხვა მომსახურე საწარმოების კოოპერირება. ყოველივე ზემოაღნიშნულის დარეგულირება უნდა განხორციელდეს „სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ შესაბამისი კანონის მიღების საფუძველზე. წვრილი ოჯახური მეურნეობის გამსხვილებას ხელს შეუწყობს აგრეთვე, მიწის ბაზრის ჩამოყალიბება.

ფერმერული ყველა მიმართლებების მეურნეობებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ–ერთი ძირითადი ღონისძიებაა მათი მომსახურეობის (სერვისის) სისტემის, კერძოდ, მომარაგების, მექანიზირებული, საირიგაციო, სატრანსპორტო, შემსყიდველი და სხვა სერვის–ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელსაყრელი ფასებით მოემსახურებიან ფერმერებს.

მსხვილი საწარმოების კოოპერირება ხელს შეუწყობს მელიორაციის, მექანიზაციის, სასუქების და შხამქიმიკატების უფრო ეფექტიან გამოყენებას და მთლიანობაში წარმოების ეკონომიკურ ზრდას. გადაუდებელ პრობლემად რჩება ქვეყანაში სასოფლო – სამეურნეო წარმოების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება,რომლის გარეშე წარმოუდგენელია ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირება. აგრარული სექტორის დატოვება ამ ეტაპზე მხოლოდ კერძო სადაზღვევო კომპანიების ხელში არ შეიძლება, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ეს სისტემა სახელმწოფოს პრეროგატივად უნდა გამოცხადეს, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარებას.

ამასთან ერთად, უნდა განხორციელდეს სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციებში შემავალი ოჯახური მეურნეობების სწავლებისა და კონსულტირების თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბება, მუნიციპალური და რეგიონალური ცენტრების შექმნის გზით, მათი მეშვეობით პრაქტიკულად განხორციელდება ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება და სამეწარმეო შესაძლებლობების სრულყოფა,რამაც უნდა განაპირობოს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მტკიცე საფუძველს შეუქმნის აგრარული სექტორის ყველა დარგის მაღალ დონეზე განვითარებას, მისი ეფექტიანობის განუხრელად ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პირობების არსებითად გაუმჯობესებას.

გია გუჩაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

---

19 ივვარი – ნათლისღება, წყლის კურთხევა

ნაკურთხი წყალი

თანამედროვე მეცნიერული მტკიცებულებები

მეცნიერება მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ცდილობს ახსნას სამყაროში მომხდარი თუ არსებული პარადოქსები და სასწაულები.

მეცნიერება დიდხანს ვერ ხსნიდა ქრისტეს ერთ-ერთი სასწაულის – წყალზე სიარულის ფენომენს.

მიუხედავად იმისა, რომ მკვდარი ზღვის წყალი ძალიან მარილიანია და სიმჭიდროვე ყველა სხვა წყალზე მაღალი აქვს (1.3-1.4გ/სმ2), მასზე სიარული მაინც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სულ ბოლო დრომდე მეცნიერულად არ დასტურდებოდა ამგვარი ფენომენის შესაძლებლობა ფიზიკურად. როგორც გაირკვა, მეცნიერებას XXI საუკუნემდე ძლიერ მწირი ინფორმაცია გააჩნდა წყალზე. ეს სუბსტანცია ძალზედ იდუმალი და ცვალებადი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ის ცოცხალია!

პირველად მეცნიერებაში ტერმინი „ცოცხალი წყალი“ 1920 წლიდან გაჩნდა, როდესაც ავსტრიელმა ინჟინერ ჰიდროლოგმა ვიქტორ შაუბერგერმა აღმოაჩინა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში წყალს აქვს გარკვეული ვიტალური ძალა. მილებში გავლისას წყალი კარგავს თავისი ელექტრონული მასის ნაწილს, რის გამოც მისი მოლეკულების გეომეტრიული სტრუქტურა ირღვევა. თუ გამოვიკვლევთ წყაროს წყალს, მასში შევნიშნავთ ფიფქის მსგავს ექვსკუთხოვან სტრუქტურებს. დაახლოებით ამგვარი სტრუქტურა შეინიშნება ახალშობილი ბავშვის უჯრედების სითხეში, მაგრამ დროთა განმავლობაში რადიაციის და სხვა დამაბინძურებელი ფაქტორების შედეგად ეს სტრუქტურა ირღვევა; იწყება სხვადასხვა ტიპის დაავადებები,დაბერება (თავდაპირველად ჯერ უჯრედულ დონეზე) და ასე შემდეგ. შაუბერგერმა დაამუშავა ახლებური მიდგომა წყლის შესაფასებლად, და როგორც ეკოლოგმა, შეძლო კიდეც გარკვეული პრაქტიკული სარგებლობის მიღება. სამწუხაროდ, ზეწოლისა და კრიტიკის შედეგად შაუბერგერი თანდათან გაუჩინარდა მეცნიერული სპექტრიდან. სულ რამდენიმე წლის წინ დიდი მეცნიერის შრომებმა დამსახურებული აღიარება მოიპოვეს. წყლის შესწავლა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო.

თანამედროვე მეცნიერებაში წყლის მკვლევართა შორის ერთ-ერთი სახელგანთქმული და ავტორიტეტული მკვლევარი, რუსი მეცნიერი სტანისლავ ზენინი (რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ლაბორატორიის ხელმძღვანელი) თვლის, რომ წყალს აქვს უნიკალური თვისებები, რომლებიც განპირობებულია ე.წ. „ინფორმაციულ-ფაზურ მდგომარეობაში“ სტრუქტურული მეხსიერების გამოვლენის ფენომენით. წყალს შეუძლია მიიღოს, დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია ელექტრომაგნიტური რხევების შედეგად. რუსმა მეცნიერმა წყლის გამოკვლევა დაიწყო ჯერ კიდევ 1995 წლიდან. ზენინის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ წყალი შედგება კლასტერული უჯრედებისაგან, რომლებიც ბიოკომპიუტერებს წარმოადგენენ. ადამიანი 70% წყლისგან შედგება, აქედან გამომდინარე, მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენენ გარე ფაქტორები: მაგ. ქიმიური, ელექტრომაგნიტური, მექანიკური და ა.შ. წყლის მოლეკულები ზემოქმედების შედეგად „გადაეწყობიან“ და იცვლიან თავიანთ გეომეტრიულ წყობას. აღსანიშნავია, რომ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ურთიერთობაც. ზემოქმედების შედეგად იცვლება აგრეთვე დნმ-ს მოლეკულა, რომელიც შესაძლოა სრულებით განადგურდეს.

სენსაცია მოახდინა ნაკურთხი წყლის გამოკვლევის შედეგებმა. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ნაკურთხი წყალი, მართლაც დიდხანს არ „ფუჭდება“ და მას შეუძლია მრავალი დაავადების განკურნება; ურთულესი დაავადებები კი იკურნება განსაკუთრებულად ნაკურთხი წყლით. (трехзвонноая вода) შემდეგი მეთოდით: წყალს აკურთხებენ სამ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომელთა ზარის ხმაც არ უნდა სწვდებოდეს ერთმანეთს. მღვდლებს ან ბერებს წყალი მდუმარედ მოაქვთ და შემდეგ აერთებენ. ასეთ წყალს საოცარი აღმდგენი თვისებები გააჩნია! პროფესორ პავლე გოსკოვის ლაბორატორიაში ჩაატარეს საინტერესო ექსპერიმენტი: ნაკურთხი წყალი გაურიეს ჩვეულებრივ წყალში, რომელიც სხვადასხვა ზომის ჭურჭელში იყო მოთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ თანაფარდობა იყო უმნიშვნელო (დაახლოებით 10 გრამი 60 ლიტრზე) შემდგომმა ანალიზმა ცხადყო, რომ უბრალო წყალი მთლიანად გადაიქცა ნაკურთხ წყლად, როგორც სტრუქტურულად, ისე ბიოლოგიური თვისებებით.

გამოკვლევათა შედეგები განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ წარმოაჩინეს იაპონელმა მეცნიერებმა მასარო ემოტის (იოკოჰამის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი მედიცინაში) ხელმძღვანელობით. დოქტორმა ემოტომ ჩაატარა ძვირადღირებული ექსპერიმენტები; მან გაყინა წყლის წვეთი -50^0 და მიკროსკოპით დააკვირდა წარმოქმნილ კრისტალებს, შემდეგ კი მიკროსკოპში ჩამონტაჟებული ციფრული ფოტოკამერით გადაიღო უნიკალური სურათები. ემოტომ სხვადასხვა სახის ზემოქმედება მოახდინა წყალზე, ისევ გაყინა, სურათები გადაუღო და ერთმანეთს შეადარა. დადგინდა, რომ წყლის მოლეკულარულ სტრუქტურას ცვლის ადამიანის ენერგია, ფიქრები, ხმები...

ეს ცვლილებები განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ შეინიშნება ხმოვანი ზემოქმედებისას. საგალობლების, კლასიკური და ხალხური მუსიკის ბგერები წყლის კრისტალს საოცრად ლამაზ გეომეტრიულ ფორმებს აძლევენ. კრისტალი ძლიერ მახინჯდება მძიმე მეტალის, როკის და სხვა თანამედროვე მუსიკის ზემოქმედებისას. როგორც ჩანს, იგივე ზემოქმედებას განიცდის ადამიანის ორგანიზმიც, რომელიც უმთავრესად წყლისგან შედგება.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად გამოთქმა „ცოცხალი წყალი“ მოხსენიებული იყო ზემოთაღნიშნული არა ავსტრიელი მეცნიერების ნაშრომებში, არამედ ბიბლიაში, რომელიც 2000 წლის წინ დაიწერა. იოანეს სახარებაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც მაცხოვარმა წყალი სთხოვა სამარიელ ქალს, მან კი გაიკვირვა, რადგან სამარიელები და იუდეველები ერთმანეთთან არ ურთიერთობდნენ. ქრისტემ მიუგო მას: „შენ რომ იცოდე ღვთიური ნიჭი და ის, თუ ვინ გეუბნება წყალი დამალევინეო, მაშინ შენ თვითონ სთხოვდი მას და ისიც მოგცემდა ცოცხალ წყალს“ (იოანე. 4: 10). შემდეგ ქრისტე განმარტავს: „... ხოლო ვინც დალევს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება; რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს“ (იოან. 4: 14). სახარებისეული ეს სიტყვები ჩვეულებრივ განიმარტება, როგორც საუბარი რწმენაზე. თუმც ვინ იცის... მაცხოვარი ყოვლისშემძლეა და შეუძლია წყლით განკურნება. არა მარტო წყლით, არამედ საერთოდ სითხით . გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც ქრისტემ განკურნა ბრმა: ქრისტემ „... მიწაზე დააფურთხა, ფურთხით ტალახი მოზილა და თვალებზე წაუსვა ბრმას, უთხრა „წადი და დაიბანე სილოანის აუზში“. წავიდა, მოიბანა და მოვიდა თვალგახელილი (იოან. 9:6-7).

მეცნიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე წყალზე სიარულის სასწაულის ახსნა. სახარებაში აღწერილია მომენტი, როდესაც ქრისტე და მოწაფეები ზღვაში ნავით მიცურავდნენ. უცაბედად გრიგალი ამოვარდა. მოწაფეები პანიკაში ჩავარდნენ და მაცხოვარი გააღვიძეს. ქრისტე წამოდგა და შერისხა ქარი და უთხრა ზღვას: „დადუმდი, ჩადექ“ (მათ.4:38-39). სხვა შემთხვევაში ქრისტე ხმელეთზე იყო, ხოლო მოწაფეები ნავით ზღვაში გავიდნენ. ამ დროს ამოვარდა ღელვა „... მივიდა მათთან იესო პირდაპირ ზღვაზე სვლით. მოწაფეებმა ზღვაზე მავალი რომ დაინახეს, შეძრწუნდნენ და თქვეს: „ეს მოჩვენებაა“ და შიშისგან შეჰყვირეს“ (მათ.14:24-26). წყალი ისევ დამშვიდდა. დაახლოებით იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი როდესაც მოსემ ზღვა ორად გაყო. ებრაელებმა ფსკერზე მშვიდობით გაიარეს, ხოლო ეგვიპტელები წყალმა შთანთქა (გამოს.14:21.26). მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სულიერი ძალა რეალურად მართავს წყალს, აწესრიგებს და ამშვიდებს მას. ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა სრულიად განწმენდილი წყლის მიღება? როგორც გაირკვა, არა. არც ბუნებაში არსებობს იდეალურად წმინდა წყალი. აბსოლუტურად წმინდა წყალს, მეცნიერთა აზრით,ისეთი თვისებები ექნებოდა, რომ წარმოსახვაც კი გაგვიჭირდებოდა. პროფესორ პავლე ბოსკოვის ლაბორატორიაში უდიდესი შრომის ფასად მიიღეს წმინდა წყალი, მომცრო, სულ რაღაც 2,5 სმ დიამეტრის კოლბაში. შედეგმა ყველა გააოცა. მოლეკულათა შეჭიდების ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მის გასახლეჩად მეცნიერებს დასჭირდათ 900 კგ. ძალის გამოყენება. ასეთი წყლის ტბაზე ან ზღვაზე არათუ ადამიანი, ტანკიც კი თავისუფლად გადავიდოდა. ფიგურებით სრიალიც იქნებოდა შესაძლებელი. თავისი სულიერი ძალით განწმენდდა და დაამშვიდებდა ყოველგვარ სითხეს. ქრისტეს მიერ განწმენდილ წყალს კი ადამიანთა განწმენდილი წყალი ვერ შეედრება უდავოდ. როგორც მეცნიერები გვირჩევენ, ყოველთვის უნდა ვეცადოთ მივიღოთ ცოცხალი წყალი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განკურნების დიდი ძალა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანზე დამანგრეველ ზეგავლენას ახდენს საშინელებების, მკვლელობების და სხვა საშინელი ძალადობის სცენები, რომელსაც ყოველდღე უხვად ვუყურებთ ტელევიზიით. ნეგატიური ენერგიისგან წყალი ბუნებრივად იწმინდება აორთქლებით და კონდენცირებით, ან გაყინვით და გალღობით. განსაკუთრებით უნდა ვეშურებოდეთ ნაკურთხ წყალს. წყლის სტრუქტურაზე ჩვენც შეგვიძლია ვიმოქმედოთ საგალობლებით და ლოცვით, კეთილი სურვილებით და ასე შემდეგ. შეგვიძლია ჭურჭელს ლოცვა მივაწეროთ ან ნაბეჭდი მივაკრათ. საკვებს მიღების წინ კი აუცილებლად გარდავსახოთ ჯვარი და ვილოცოთ.

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს „დიდ არს ძალა ლოცვისა“. ამინ.

წერილი იბეჭდება საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ მირიანის (არდაზიშვილი) კურთხევით.

მოსაფიქრებელი, ფიქრი, განსჯა

სად განისვენებს წმიდა ნინოს ნეშტი?

დასასრული

ხევი, პირველწოდებული – ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა, ბოდის ჩრდილოეთიდან სამხრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით, ამ ხევსა ზედა არს ბოდის ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შვენიერი, აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაიფლა იქვე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია მეფემან ბაქარ (ქართლის ცხოვრება IVტ.)

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის ცხოვრების მემატიანე ლეონტი მროველის ცნობა წმინდა ნინოს გარდაცვალების ადგილი (კუხეთის დიდი დაბა ბოდი) თავისი ქართლის ცხოვრების IV ტომში ჰერეთის ტერიტორიაზე, ხორნაბუჯის დასავლეთით, ბოდბის ხევის ეგრეთწოდებულ ბოდად მიუღია, სადაც ვახუშტის მტკიცებით „არს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შვენიერი, აქ მიიცვალაო წმინდა ნინო, „ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი. ბოდბის ეკლესია კი არც „დიდშენი“, არც „გუმბათიანია“, ვერაფრით შეედრება ნინოწმინდის დიდებულ სამონასტრო კომპლექსს. იქნებ დიდი მეისტორიეს ვახუშტი ბატონიშვილს თავისი თვალით არც უნახავს ბოდბის ეკლესია, თორემ ასეთ ლაფსუსს არ დაუშვებდა.

მე, როგორც განათლებითა და მოწოდებითაც ისტორიკოსი, 60 წელზე მეტია დაინტერესებული ვარ და ვიკვლევ წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს ისტორიულ პროვინცია კუხეთში (დღევანდელ საგარეჯოს რაიონში) და ერთმანეთში არ მერევა კუხეთი და ჰერეთი, შეუსწავლელი არ დამრჩენია არც ერთი მტკაველი მიწა, სოფელი, ნასოფლარი, თუ რაიმე ისტორიული ძეგლი და ვერსად ვერ ვიპოვე წმიდა ნინოს ნეშტის ნინოწმინდიდან ქიზიყის ბოდბეში გადასვენების აუცილებლობის ფაქტი. გასული საუკუნის 60-იან წლებში გადმომცეს ნინოწმინდის უკანასკნელი მოძღვრის დეკანოზ ალექსი გულისაშვილის ნაამბობი, რომელიც აბსურდს უწოდებს ნინოწმინდიდან ბოდბეში წმიდა ნინოს გადასვენების ფაქტს.

წმიდა ნინო რომ ბოდბეში იყოს დაკრძალული, ბოდბეში VI საუკუნეში აშენებული საკათედრო სამნავიანი ბაზილიკა წმინდა გიორგის სახელზე კი არ იქნებოდა აშენებული, არამედ წმიდა ნინოს სახელზე. მითი წმიდა ნინოს ბოდბეში გადასვენების შესახებ ბოდბეში XIX საუკუნის I ნახევარში წმინდა ნინოს სახელობის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელ-პანსიონატის დაარსებას უკავშირდება, რომლის მზრუნველ მეურვედ თავადის ქალი ნინო ვაჩნაძე იყო. სწორედ მას შეუქმნია ვერსია წმიდა ნინოს ბოდბეში გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ, შეურჩევია სამარხი და შეუქმნია წმიდა ნინოს სახელზე.

რაც შეეხება უძველეს კუხეთის დაბა ბოდში (ბოდისში) აშენებულ გრანდიოზულ ჯვრის ტიპის ტაძარს, იგი თავისი ასაკით უფრო უხნესია, ვიდრე ბოდბის კათედრალი. იგი არაერთჯერ იქნა იავარქმნილი კიმერიელ ალანების, ხაზარების, არაბების, თურქ-სელჩუკების, ხვარაზმელების, თურქ-მონღოლების, თემურ-ლენგების, შაჰ-აბასების მიერ, მაგრამ კვლავ აღდგენილი და დამშვენებული ქართველ მეფეთა მიერ. თუმცა, 1824 და 1848 წლებში ძლიერმა მიწისძვრებმა, რომელსაც ცუნამის მსგავსი ქარიშხალი და კოკისპირული წვიმა სდევდა, მნიშვნელოვნად დააზიანა.

შაჰ-აბასმა მთელი ნინოწმინდის მოსახლეობა 1616 წელს ფერეიდანში გადაასახლა, რომლის შთამომავლობა ახლაც იქ ცხოვრობს და ნინოწმინდას სპარსულად ქუდუბანაკს უწოდებენ.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში ბოლშევიკებმა ოთხსართულიან სამრეკლოს ჯერ ჯვარი მოაძრეს, მერე მისი ნახევარტონიანი ზარი ჩამოაგდეს და ჯართში ჩააბარეს, მისი წიგნთასაცავი და არქივი გადაწვეს და აღარავის გახსენებია წმინდა ნინოს სამარხი.

1966 წელს აქ გოგლა ლეონიძის ინიციატივით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი მოაწყეს, მაგრამ მალე გაუქმნდა.

დღეს აქ, ეზოს ამშვენებს წმ. ნინოს სახელობის ახლადაშენებული ეკლესია, რომელშიც წირვა-ლოცვა აღევლინება.

ალ. ელერდაშვილი,

ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია

გივი მჯედლიშვილი

ეს რა მოხდა, როგორ უეცრად გამოეცალე შენს საყვარელ ოჯახს, ამ ახალი წლის დღეებში მთელი სოფელი მწარედ აატირე. შენ სულ ახალგაზრდა მოხვედი ჩვენს კოლექტივში, როგორც მელიორატორი და ბოლომდე დარჩი სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ბოლოს კი, როცა ინტენსიურად დაიწყო ჩვენთან საიჯარო მეთოდით მუშაობა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩამოაყალიბე საიჯარო რგოლი – მედორეობის, თავისი საკვებწარმოებით და მევენახეობაც დაიმატეთ. როცა კერძო საკუთრებაზე გადასვლა მოხდა, შენ ახალ ფორმაზე გადასვლაც ბრწყინვალედ დაძლიე. შენი თავდადებული ინდივიდუალური შრომით საუკეთესო საოჯახო კერძო მეურნეობა შექმენი. ისეთი მშრომელი, ენერგიული მშობლების შვილი იყავი, სხვანაირად არც მოხდებოდა. შენს ოჯახში უხვად არის ფრინველი, ცხოველი, ფუტკარი, საუკეთესოდ მოვლილი ვენახი – რქაწითელი, საფერავი... ხეხილი თუ სახნავ-სათესი. როგორი სიამოვნებით გვითხარი, რომ მომზადებული გქონდა ნაკვეთი და ვაზიც უახლოეს პერიოდში ვენახის გასაშენებლად. ადვილი არ არის საქმის კეთება, დანაწევრებული შრომის, ტექნიკის სიმცირისა და მრავალი სხვა დაუძლეველი პრობლემების პირობებში. ამასობაში კი ჩვენს თვალწინ 20 წელზე მეტმა ჩაიარა და აი, როცა გაისმა ახალი მთავრობის მხრიდან სოფელზე ზრუნვის ერთ-ერთი ახალი ფორმის შემოღება – კოოპერატივებად გაერთიანების მიზანშეწონილობის შესახებ, მოწონებით შევხვდით, გადავწყვიტეთ, რომ მომზადება დაგვეწყო. მოვიფიქრებდით, კონსულტაციისათვის მოვამზადებდით საკითხებს და 2013 წლის დადგომისთანავე პრაქტიკულად ჩამოვყალიბდებოდით პირველი ეტაპისათვის. მაგრამ, დეკემბრის ბოლო დღეებში შენთან ამ საკითხებზე შეხვედრა წუთიერი აღმოჩნდა, მოხდა დიდი უბედურება. ბედისწერამ ბინა სამუდამო სასუფეველში დაგადებინა. რაც უფრო კარგ ნაკვალევს ტოვებ ადამიანი, მით უფრო მძიმე და მწარეა დანაკარგი, მაგრამ შენისთანები არ იკარგებიან. მით უმეტეს, შენ გყავს მემკვიდრე ვაჟიშვილი, სამი მომავალი ვაჟკაცით. შენს მონაგარს და კარგ სამემკვიდროს აუცილებლად დაიცავენ. თუ შენი ოჯახიც შემოგვიერთდება და შევძელით სამაგალითო კოოპერატივის ჩამოყალიბება კერძო საკუთრების პირობებში, რაც ყველა კომლისათვის უფრო მომგებიანი იქნება, ის აუცილებლად შენი სახელობის დარჩება მომავალში.

სასოწარკვეთილი შენი მეუღლე კარგი სიტყვებით დაგტიროდა – რახან ასე მოხდა და ახალი წლის ამ ბედნიერ დღეებში დაგვტოვე, ნათელში იყავი და გთხოვ, თან გაიყოლო ყველა შენიანის ტკივილი და ცუდიო.

უფალმა უსმინოს.

ყოფილი კოლმეურნეობა „განახლების“ ადმინისტრაციის მუშაკები.

სოფელი კაკაბეთი.

ოთარ გულაღაშვილი

მოვიდა შენი დაბადების დღე 7 თებერვალი. 16 წელია, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძმაო. სათქმელად ადვილია, მასში შემავალი ყოველი წელი, თვე, საათი, წუთი და წამი უშენოდ ძალიან ძნელია.

ტკივილი არ მიყუჩდება და დარდი ჩემს გულში არ ქრება, სულ სხვა თვალით დამანახე, ძმაო, ცხოვრება. წამართვი სიხარული, ერთადერთი სიხარული დაგვიტოვე. ეს არის შენი შვილები და მათი ნამატი, 10 შვილიშვილის პაპა გახდი მიწაში.

როგორ გული მტკივა, რომ შვილიშვილს ვერ მოეფერე. ნეტავ კი გასაცვლელი იყოს – შენი სამარე მე და შენი ცოლ-შვილი და მათი ნამატი შენ.

ოხ, ძმაო, რა ტკბილი წლები დაგაკარგვინა შენმა მოსაბაბემ. ჩემო უყისმათო, ნუთუ ღმერთმა დაგწერა ასე? ასეთი სიკეთით სავსე გული როგორ გქონდა და ღმერთმა ასე როგორ გამამწარა, შენს შემდეგ აღარაფერი მწამს – აღარც ღმერთი და აღარც ლოცვა.

შენი და

კაკაბეთი

დათო გულაღაშვილი

დათო... ეს ყველაზე მოულოდნელი ტკივილი იყო, ისეთი, როცა ადამიანი ფიქრობ, რომ ვერ გაუძლებ, მაგრამ ისეთი, რომელსაც ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა... ტკივილი, რომელმაც ერთდროულად დაადუმა ყველა, მაგრამ ვერავინ ვერ შეხვდა ცრემლის გარეშე...

დათო სხვანაირი იყო... ყველას გულში დარჩა მისი ხასიათი... მისი სერიოზულობა... მისი კეთილი გული და მისი მართალი ღიმილი.

20 წლის იყო, მაგრამ იბრძოდა ის... ასაკთან შეუფერებელიც კი იყო მისი მონდომება, რომ ოჯახს დახმარებოდა... ყველა იხსენებს მასთან გატარებულ ყოველ წუთს... მის ყოველ ქმედებას. მის ყოველ სერიოზულ და ოპტიმისტურ სიტყვებს... ის მაინც განსხვავებული იყო...

13 თებერვალს 21 წლის გახდებოდა... მაგრამ წყალში დამთავრდა მისი უკანასკნელი სიტყვები და მისი უკანასკნელი სუნთქვა...

იმდენად ძლიერი იყო, რომ ბოლო წუთამდის არ სჯეროდათ მისი ეს სისუსტე და მარცხი... მაგრამ, ეს ტრაგედია იყო. მისი შეცვლილი სახის ყურება ყველაზე მძიმე მისი მშობლებისათვის იყო... ისინი თვალებით გამოხატავდნენ იმ სიმწარეს და სევდას... სიტყვასაც კი ვერ ამბობდნენ იმ ტკივილის შესაფერისს...

დათო დაკარგეს... ცრემლით და ხან ჩუმი ტირილით... ხმამაღალი გოდებითაც კი... მაგრამ მაინც უსაშველოდ და მასთან შეხების გარეშე....

საშინელი და წარმოუდგენელი ამინდი იყო იმ დამით... ისეთი, როგორიც არავის არ ენახა და გაეგონა... ესეც ერთგვარი დატირება იყო ალბათ...

მაინც ის 21 წლის გახდება, მაგრამ ოჯახისგან, მეგობრებისგან და თავისი სოფლელებისგან შორს... იქაც დარწმუნებული ვართ რომ, დათო ძალიან თბილი იქნება, იქაც ყველა ეყვარება თავის გარშემო და იქაც გააცნობს თავს ყველას...

იმიტომ, რომ ის სხვანაირი იყო... იმედი იყო ის...

უფალმა გაგინათოს გზა სასუფეველში, დათო...

არასდროს, არასდროს არ დაავიწყდები შენ, ვინც კი ოდესმე გიცნობდა... დიდხანს დარჩები მოურჩენელ ტკივილად... ეს ენით აუწერელი სიმწარეა მშობლებისა და ძმისთვის.

ილოცე მათთვის, დათო... ილოცე იმ კეთილი გულით, რაც სინამდვილეში გახასიათებდა შენ!

უკვე 6 თვეა შენ ჩვენთან ერთად აღარ ხარ... ჩვენ აქედან გილოცავთ დაბადების დღეს!

ისევ გვიყვარხარ ყველას!!!

ოჯახი

ღვთის სასწაული გიორგიწმინაში

ღვთაებრივი ნების მაუწყებელნი

დასასრული

ლი ასე ნაწილდება: მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი.

ანგელოზები – ზეციური წესრიგის ეს კაშკაშა მებაირახტრენი პირველადი ნათლისაგან არიან შექმნილნი და მათი არსებობა უშუალოდ დამოკიდებულია ღვთაებრივ მადლზე. ამიტომაც სამართლიანად იწოდებიან მეორედჩენილ გონისმიერ სინათლეებად, რომელთაც პირველადი და დაუსაბამო სინათლისაგან აქვთ განმანათლებლობა. ღვთის ხატად შექმნილი ეს გონისმიერი არსებები იწოდებიან „სულად და ალად ცეცხლისა“. (ფსალმ. 103. 4).

მაგრამ ისმის კითხვა, თუკი უხილავნი არიან, როგორდა ხდება, რომ ისინი კაცთა მოდგმას ნივთიერი სახეებით ეცხადებიან? ძველსა და ახალ აღთქმაში უამრავი მაგალითია მათი ნივთიერი სახით ცხადად ჩენისა. დიონისესთან ეს საკითხი მარტივადაა გადაჭრილი – როცა ინებებს საღვთო ნება, ანგელოზები მეყვსეულად გარდაისახებიან იმად, რასაც კაცთმოყვარული ნება მიუთითებს. ისწრაფიან და მყის აღმოჩნდებიან იქ, სადაც მიავლინებს ღმერთი და მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს კედლები და კარიბჭეები.

სასწაულებს სასწაულები ემატება. ისედაც ყველაფერში სასწაულს ვეძებთ, მაგრამ არასდროს არ ვუფიქრდებით ღვთის ნებას – როგორ გვიბრუნებს უფალი მისდამი გამოხატულ ჩვენს სიყვარულს. აი, ერთი მაგალითიც, რომელსაც გიორგიწმინდის ეკლესიის მრევლი ეთერ გოგოლაძე მოგვიყვა: – ღამის 1 საათზე ჩვენც მოგვინდა რკინიგზის სადგურის დასახლებაში მცხოვრებთ ანგელოზების ახლოს ნახვა. მეზობელი ახალგაზრდა კაცი გავადვიძეთ, რომელსაც იმდენი არაყი ჰქონდა დალეული, ფეხზე ვერ დგებოდა, მაგრამ მანქანა მხოლოდ მას ჰქონდა. ავედით გიორგიწმინდის ეკლესიაში, კარგა ხანს ვუცქირეთ ანგელოზების მოძრაობას და უკანმობრუნებულებს ეგრეთწოდებულ „წითელ ხიდთან“, სადაც რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალი უნდა გადაგვეკვეთა, პატრული დაგვხვდა, რომელსაც სხვა მანქანა გაეჩერებინა და მძღოლს ნასვამობაზე ამოწმებდა. გააჩერა ჩვენი მანქანაც და წარმოიდგინეთ, რა დაგვემართებოდა...

მაგრამ სასწაული – კაცი, რომელიც არყის სუნს შორიდანვე აფრქვევდა, შეამოწმეს და ხელსაწყომ მწვანე შუქი უჩვენა?!..

ასეთივე სასწაულია გიორგიწმინდელი ახალგაზრდის გიორგი ქვრივიშვილის გულსაკიდი ჯვრიდან მიერონდენა, რომელსაც ოჯახის წევრები ჭიქაში აგროვებენ.

მართლაც, რომ საკვირველია, უფალო, საქმენი შენნი!

თინა ილაური

პედაგოგები კვლავ პროფესიულ კავშირში გაერთიანდებიან

ორი წლის შემდეგ... ყინული გალღვა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირებმა ამ ორიოდე წლის წინ ფუნქციონირება შეწყვიტა – უბრალო გასაგები მიზეზების – მაშინდელი მთავრობის და ხელისუფლების ნების გამო. და, აი, ახლახანს 17 იანვარს საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სასიხარულო ამბის მაცნეებად შეხვდნენ აქაურ პედაგოგ-მასწავლებლებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტი მაია კობახიძე, ამავე კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ვიქტორია ბალავაძე, საგარეჯოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარე რომან ზუკაკიშვილი.

ამავე დღეს აქ ჩატარდა სემინარი, სადაც ტრენერებმა მაია ესებუამ და ვიქტორია ბალავაძემ მსმენელს მთელ რიგ საიუნტერესო საკითხებზე ესაუბრნენ. ყურადღება გამახვილდა თემაზე, რატომ უნდა იყოს პედაგოგი გაერთიანებული პროფესიულ კავშირში. მათ ღრმად და საფუძვლიანად ისაუბრეს პროფკავშირის არსსა და დანიშნულებაზე, დემოკრატიული გაერთიანების სტრუქტურასა და მართვაზე და მასზე, თუ როგორი უნდა იყოს პროფკავშირი.

სემინარის მონაწილეებმა ამ დღეს მართლაც რომ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს, რომელიც დღის წესრიგში ამ ორი წლის ვაკუუმმა დააგროვა.

სურათზე: სემინარი პედაგოგთათვის დემოკრატიული ჩართულობის საგარეჯოს ცენტრში

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, დიდ გულშემატკივარს, რედაქციის მუშაკთა უღალატოდ გვერდში მდგომს, კარგ ქართველ ქალსა და დედას, შესანიშნავ მეუღლეს, რძალს, შვილს, ორი უსაყვარლესი ძმის ერთადერთ დას, ქართული ტრადიციების მოყვარულსა და მიმდევარს, თავის სოფელსა და თანასოფლელებზე უზომოდ შეყვარებულ კაკაბეთელ **სონიკო ბაღდადაშვილს.**

იცოცხლე, იხარე და იბედნიერე ჩვენო სონიკო, შენ ყოველივე კარგი, საუკეთესო სურვილების მოძღვნა შენი კარგი ქალობითა და ადამიანობით დიდი ხანია დაიმსახურე.

სიყვარულით გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

2008 წლის ომში გმირულად დაღუპული გია კირაკოზაშვილის მოსაგონარი

„ყურძნის ისვრიმისას, შვილები დაგვიხოცეს,

აგვისტო აატირეს, დედები დაგვაშფარეს“.

გია, შვილო, ჩემო სიცოცხლეზე თვალდარჩენილო, ჩემო უდროოდ გულისცემაშეწყვეტილო:

„9 თებერვალს“ გილოცავ, შეუსრულებელ დაბადების 38-ე წელს. უკვე ერთი წელია, შენზედ არაფერი დამიწერია, არ მინდა, ვინმე მალ-მალე შევაწუხო. გიკვირს, ალბათ ამდენი ხანი დედამ, შენზედ, რომ არაფერი დაწერა, იცი, შვილო, რა ძნელი ყოფილა?! მენატრები, ტკივილამდე მენატრები.

ბოლოს, შვილო, 2008 წლის 1 აგვისტოს გნახე, ღამით საწოლი გარეთ გამოიტანე, ღრმად ისუნთქავდი ჩაილურის ჰაერს, ეტყობა გრძნობდი, რომ ვეღარასოდეს ჩამოხვიდოდი, 2 აგვისტოს, ქუჩის კარი გაგიღე და გკითხე: რვაში ჩამოხვალ – მეთქი, ჰო-ჰოო და სახეზე შემომხედე, წახვედი და წახვედი... ცრემლების ყლაპვით გაგაცილე, „9 აგვისტოს“ წარსული ჩადგა ჩვენს შორის, სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა შენი ლამაზი სიცოცხლე. რატომ მეგონა, რომ შენ არაფერი მოგივიდოდა?! ეეჰ, შვილო, ქართველი მაინც ქართველი ყოფილა ყველგან, თურმე, „უსამართლობა ვერ დააჩოქებს ქართველ ხალხს, რამაც შენი სიცოცხლე შეიწირა, ეს კი იმ მარტოხელა დედის ტკივილი და კივილია, რომელმაც ვერ შეძლო შენს სიცოცხლეს გაფრთხილებოდა. მაპატიე, შვილო, რომ მე ისევ მივათრევ ამ მძიმე და გაწვალებულ წლებს და შენ კი აღარ მყავხარ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები, ნეტავ რამდენი დამრჩა შენამდე?! როდის ვიქნებით ერთად მე და შენ? თუ რას განვიცდი უშენოდ, ამის თქმა და დაწერა არ შემიძლია, ერთია, დღითიდღე მცირდება მანძილი შენამდე.

გია, შვილო, შენ იყავი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ღირებული, ახლა კი არ ვიცი, რა ჰქვია ჩემს მწუხარებას, ალბათ ეს არის „უკურნებელი სენი“, ჩემს გულსა და გონებას რომ დაპატრონებია და ხრავს, თანაც დაგაყრუებს, დაგამუნჯებს და გაგთელავს. ისიც მართალია, ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, ის სხვის მშობელს სამძიმარს ვერ ეტყვისო.

ჩემო უსაყვარლესო შვილო, ვსულდგმულობ შენთან შეხვედრის მოლოდინით და მერე სულ შენთან ვიქნები. ამქვეყნად კი დარჩებიან შენი ახლობლები, ამხანაგები და მეგობრები, დარჩება შენი წმინდა საფლავი, მემორიალი და შენი სახლ-კარი, რომელსაც ვეღარასოდეს შემოაღებ.

შვილო, ძალიან სუფთა, მართალი, უზომოდ ტბილი, მოსიყვარულე, ზოგჯერ პოეტურიც, უშურველად შეგეძლო სულის გაღებაც კი, შენი სიკეთისათვის, სიყვარულისთვის, მეგობრებისთვის იყავი მოვლენილი ამქვეყნად. წახვედი და თან წაიღე სიკეთითა და ტკივილით სავსე გული. სიკეთითა და სიყვარულით იცხოვრე და უამრავი ადამიანის ცრემლების ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში, მაგრამ სიკვდილით არ მთავრდება ყოველივე, „სიკვდილით“ ფასობს სიცოცხლე.

იყო კეთილი ადამიანები, სილაღე. დიდი სიყვარული, ბედნიერება, მერე განსაცდელი, ტკივილი, მწუხარება... ვერ გაგვტეხეს, ვერ დაგვამარცხეს, შენ იყავი ჩვენთან და იმიტომ! გვმფარველობდი, გვიცავდი, რაინდთა სამყაროში გვაცხოვრებდი... კეთილშობილება, ღირსება, პატიოსნება იყო შენი მთავარი იარაღი. მადლობა განგებას, რომ არსებობ, მადლობა, რომ შენისთანა შვილი მაჩუქა. არსებობ, დიახაც არსებობ! შენ ჩვენში ხარ, შენ ჩვენთან ხარ. რჩევას გვაძლევ. დღემდე ვითვალისწინებ შენს აზრს... ძალიან გვჭირდები, მომენატრა შენი ხმა, შენი სიცილი, შენი სიმღერა. დღეში უთვალავჯერ გიხსენებ, რა გიხაროდა, როგორ გვამხნევებდი. ისევ და ისევ შენთან ერთად განვაგრძობ ცხოვრებას და ასე განვაგრძობ მარადჟამს. შენ არ ხარ შვილო ის კაცი, სიცარიელე დაგეტოვებინა. პირიქით, სავსე ცხოვრებით იცხოვრე და არ მივცემ თავს უფლებას, შენს მიერ არჩეული რთული გზიდან გადავუხვიო. მე კი შენი ლოცვის გარდა ვერაფერი მანუგეშებს:

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, მკვდრეთით აღდგომილო მაცხოვარო ჩვენო, შენს ნათელში გააბრწყინე ომში გმირულად დაღუპული გიორგი კირაკოზაშვილისა და მისი თანამებრძოლების სულები.

კურთხეულ იყოს თქვენი მონატრება, საუკუნო იყოს თქვენი ხსენება, ალალი იყოს თქვენს სახელზე ანთებული ყველა სანთელი.

დედა

ნანი კირაკოზაშვილი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com